ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 11

13.09.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია 2 ძირითადი საკითხი:

1. მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
2. ფსიქოლოგიის ფაკუკლტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ლალი სურმანიძე, იამზე კუტალაძე, ნანა სუმბაძე, მზია წერეთელი

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლილი ხეჩუაშვილი, ლუიზა არუთინოვი, ანი ქიტიაშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, მაია მესტვირიშვილი

ასისტენტ პროფესორები:

ნინო ლაბარტყავა, თეონა ლოდია

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე

სტუდენტები:

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 19 წევრი

განიხილეს:

1. მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;

ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი, რათა დროულად მოხერხდეს პროგრამაზე მსმენელების დარეგისტრირება.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა:0

2. **ფსიქოლოგიის ფაკუკლტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.**

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა, თამარ ხიდაშელმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე შემოვიდა განცხადება, რომელის მიხედვით, საჭიროა **2005 წლის კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა და დამტკიცება.** კერძოდ, თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა 2005 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ნინო ჯორჯაძემ რომელიც ითხოვს მის სახელზე დიპლომისა და დანართის ახალი ფორმით დამზადებას.
ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ნინო ჯორჯაძე 2001 წელს (ბრძ. №4/752, 02.08. 2001 წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე (დასწრებული სწავლების ფორმა)
2005 წელს (ბრძ.№4/709, 04.08.2005 წ.) ნინო ჯორჯაძეს მიენიჭა ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით.
ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №2) გადაწყვეტილებით ნინო ჯორჯაძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობით, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით.

ვინაიდან აღნიშნულ ბრძანებაში და ოქმში მითითებული კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი ერთმანეთს არ ემთხვევა, ფაკულტეტმა უნდა დააზუსტოს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის ნინო ჯორჯაძის კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი.
შესაბამისად, საჭიროა შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი№2-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობით.
როგორც საქმის წარმოებისას გაირკვა, რექტორის ბრძანებაში №4/709, 04.08.2005 წ. დაშვეულია ტექნიკური შეცდომა და ნაცვლად **ფსიქოლოგიის** ბაკალავრისა მითითებულია **ფსიქოლოგის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბჭომ უნდა დაამტკიცოს შემდეგი დადგინება - ეცნობოს ადმინისტრაციას შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები რექტორის ბრძანებაში №4/709, 04.08.2005 წ. კვალიფიკაციის დაზუსტების თაობაზე - შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის **ოქმი№2-ში** და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი:0
თავი შეიკავა:0

დაადგინეს:

1. **დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით;**
2. **შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი№2-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობით.**

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / _____ /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / _____ /

FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES